სახალხო გაზეთი

№ 672 შაბათი, 11 აგვისტო, 1912 წ. № 672

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ავტორისათვის მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზავნოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

მიხაილ ალექსანდრეს ძე მოლოდინოვი, ნინა ალექსანდრეს ასული და იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანძოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა უსაყვარლესი და მარადის დაუვიწყარი დედა, ხოლო მესამისა—სიდედრი

დარია ივანეს ასული მოლოდინოვისა.

პ ნაშვიდები ყოველ-დღე, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება კვირას, 12-ს აგვისტოს, დილის ცხრა საათზე ანჩისხატის საკრებულო ტაძარში დაკრძალვა ქუკიის ვერეს სასაფლაოზე. ანჩისხატის ქუჩა, საკუთარი სახლი № 20. (2.601.2)

მწუხარებით გულმოკლულნი: ქვრივი **ეკატერინე დავითის ასული ლომიძისა, ილია** და **ნიკოლოზ ლომიძენი** და **ელისაბედ ყიფიანისა**, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 9 აგვისტოს გარდაიცვალა პირველისა დაუვიწყარი ქმარი და მეორეთა—მამა

აზნაური რამაზ ივანეს ძე ლომიძე,

დასაფლავება მოხდება კვირას, 12 აგვისტოს **სოფ. ურიათ უბანში.** (2—1439—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძალიჩევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ, **დადვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible] ქალთ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალთ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. [illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დადვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.90)

ნაძალადევის თეატრი

შაბათს, 11 აგვისტოს 1912 წ. წარმოდგენილი იქნება:

დამნაშავის ოჯახი

დრ. 5 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრისა.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. (1—603—1)

საზაფხულო **ახალი კლუბი** თეატრი.

შაბათს, 11 აგვისტოს,

1 საღამო ქართულ მუსიკისა

ქართველ კომპოზიტორთა პატივსაცემლად. ყველა ვოკალურ ნომრებს ქართულად იმღერებ ნ. **პირველად, არაქჩიაშვილის უკანასკნელი ნაწარმოები.** მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი მახვილაძე (სოპრანო), კ. ს. ცხომელიძე (ბარიტონი), ბ. კუჩუხიძე, ბ. ლებანიძე და ორკესტრი ბ-ნ **პრესმანის** ლოტბარობით.

ბოლოს **საოჯახო საცეკვაო საღამო.** დასაწყ. საღ. 9 საათზე. შესვლის ფასი მანეთიდან 20 კაპიკამდე (2. 392.2)

ვასწავლი „ქართულ სიმღერა გალობას“,

მიღება და ჩაწერვა ყოველ დღე შემდეგს დროსა და ადგილს.

ორშაბ., ოთხშ., შაბათობ. საღ 5—7 ს. და კვირა დღის 2—4 ს. ავჭალ. ქ., № 29. სამშაბათ., ხუთშაბათ., და პარასკევობით საღ. 5—7 ს., ავჭალის მოედანი, № 11.

მიიღებიან; მოხელენი, უფრ. კლას. მოწაფენი, ნოქრები, მუშები, კერძო პირნი და სხ.

ვაარსებ აგრეთვე ქართველ მუშათა გუნდს.

(12.1435.2) იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.**

თ. მთავრიშვილისა

და **ამხ.** წიგნის მაღაზია ქუთაისში,

ამ წლის აგვისტოს 15-დან გადადის

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი „თამარ“ იმყოფებოდა.

(8.1416.3)

საკანცელარიო მაღაზია

დ. და პ. ოცხელებისა,

ქუთაისში,

ამა წლის აგვისტოს 15-დან გადადის

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი „თამარ“ იმყოფებოდა.

(8.1415.3)

დაიბეჭდა და მალე გამოვა გასასყიდად

თ. მთავრიშვილისა

და **ამხ.** წიგნის მაღაზიის

ახალი გამოცემები:

1. სამშობლოს აღწერა, სკოლებისათვის შედგენილი ს. რობაქიძის მიერ, ფასი ყდით 10 შაური.
2. მოკლე ქართული გრამატიკა, შედგ. ს. ხუნდაძის მიერ, ფასი 1 აბაზი.
3. ქართული ლოცვანი, შედგ. მღვ. ა. გერსამიას მიერ, ფასი 2 შაური.

(8.1417.3)

თ. მთავრიშვილისა

და **ამხ. წიგნის** მაღაზია

ქუთაისში

აცხადებს, რომ დაიბეჭდა და ურიგდება ხელის-მომწერთ **კიტა აბაშიძის**

„ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“,

ტომი მეორე. აგენტებს სთხოვენ, ხელის მომწერთ სია და მათგან მიღებული ფული საჩქაროდ გამოუგზავნონ წიგნის მაღაზიას. (8.1418.3)

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა „**მეგობრობა**“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის

თხზულებანი:

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრიობა „ „ „ „ „	80 კ.
III „	„ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „	65 კ.
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „	85 კ.

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა.

ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., ტელეფ. № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.151.3)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 363)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. მოროვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“.

(წლ—1018—51).

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშიჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—61)

ექიმი ქალი **დ. გ. საყვარელიძე.**

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9.

(25.595.2)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.175)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115 დიდუბე). (თ.—1019—116)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე**

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში. 3—9 საათამდე.

ექიმი გ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლ., სვანიშვილისა.

ექიმი აბასთუმანში **ე. ი. მინასიანცი**

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.222)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—40)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე; საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ. ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—2.)

ექიმი ი. ი. გორიშელი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—81)

ტფილისი, 11 აგვისტო

ოსმალეთი და ევროპის სახელმწიფონი. ოსმალეთს კვლავ შავი ყორანი დასჩხავის თავზე. იტალიასთან ომი ჯერ არ დასრულებულა, შინაურ ცხოვრებაშიც დიდი ცვლილება მოჰხდა: დაეცა ახალგაზრდა ოსმალთა რეჟიმი. შინაგან მოქალაქობრივ და გარეშე ომს ზედ დაერთო ალბანეთის აჯანყება. ყველა ამ მიზეზების გამო ევროპის სახელმწიფოებს შემთხვევა მიეცათ ერთხელ კიდევ ალაპარაკებულიყვნენ ბალკანეთის საქმეებზე და თავიანთი რეცეპტები შეედგინათ „ავადმყოფ ოსმალეთის“ გასაკურნებლად. ერთი ამგვარი რეცეპტი ავსტრიამაც შეიმუშავა. იგი მოითხოვს სრულს „სტატუს ქვოს“ და ოსმალეთის დეცენტრალიზაციას. ავსტრიის წინადადებამ სრულიად მოულოდნელად წამოჰყო თავი, ასე რომ ბევრი სახელმწიფო მოუმზადებელი დახვდა. მიუხედავად ამისა, როგორც გაზეთებიდამა სჩანს, დიპლომატიურ წრეებში მაინც გაიმართა აზრთა გამხიარება. მოტივად ავსტრიას კეთილი განზრახვანი მოჰყავს, მაგრამ ზოგიერთნი სამართლიანად ჰფიქრობენ, ვაი თუ ავსტრიას რაიმე დაფარული აზრი ჰქონდესო. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, თვით ის გარემოება, რომ ასეთი წინადადების აღძვრის ინიციატივა ავსტრიას ეკუთვნის, ამ უკანასკნელს განსაკუთრებულ პირობებში აყენებს.

როგორ დასრულდება დიპლომატიური მოლაპარაკება, ამას მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ ბევრი რამ თვით ოსმალეთზეა დამოკიდებული. ოსმალეთის მაულობელ ბიზანს უნდა შეადგენდეს შინაურ მოქალაქობრივ ბრძოლის მოსპობა. ეს კი მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დამარცხებული ახალგაზრდა ოსმალნი ბედს შეურიგდებიან და საშუალებას მისცემენ ახალს მთავრობას მოაწესრიგოს საქმეები და ოსმალეთის შინაური ცხოვრების განვითარება ნორმალურს კალაპოტში ჩააყენოს. ოსმალეთი, მართლაც, დაავადმყოფებულია. ვერ იქნა და ვერ შეიგნო, რომ ისეთს მრავალ ყურებიან სახელმწიფოში, რანაირიც ოსმალეთია, შეუძლებელია ცენტრალისტურ პრინციპის გაძლიერება. რამოდენადმე დეცენტრალისტური მოძრაობა სუსტად იყო განვითარებული ძველი რეჟიმის დროს, ეხლა, როდესაც დამყარდა წეს-წყობილება მოქალაქობრივ თავისუფლებისა, პატარ-პატარა ერთა მორჩილებაში ყოფნა შეუძლებელია. თან და თან თვითეულს მათგანში გაიღვიძებს სურვილი თავისუფალ არსებობისა, და ოსმალეთის მთავრობაც იძულებული გახდება დაუსრულებლივ ეომოს ხან ერთს აჯანყებულს ერსა და ხან მეორეს. ამისთანა პირობებში კი მშვიდობიან განვითარების იმედი მთავრობას არ უნდა ჰქონდეს.

მაგრამ თუ პოლიტიკა გამოიცვალა, თუ დეცენტრალისტური ფორ-

ეკატერინე დიმიტრის ასული ფურცელაძისა, ვლადიმერ არჩილის ძე სალარიძე და ქეთევანი ქაიხოსროს ასული ფურცელაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს გარდაცვალებას ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ პირველი შვილისას, მეორე—მეუღლისას და მესამე—დისას.

ელენე ქაიხოსროს ასულის სალარიძისას.

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ ორშაბათს 13 აგვისტოს დილის 10 საათზე, საკუთარ სახლიდან ბაგრატიონის ქუჩაზე № 17 ანჩისხატის ეკლესიაში; დასაფლავება პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (2—26—2)

მა მმართველობისა არჩია ცენტრალისტურს, ოსმალეთში შინაგანი ბრძოლა მაინც მოისპობა. მაშინ კი უფრო ადვილად მოახერხებს გაძლიერებას და უფრო ადვილად გასცემს პასუხს ევროპის სახელმწიფოებს, რომელნიც ყოველის შემთხვევით სარგებლობენ ფეხი დააჭირონ ოსმალეთს და რამე წაჰგლიჯონ. ახალგაზრდა ოსმალთა დამარცხება იმის მომასწავებელია, რომ ცენტრალისტური პოლიტიკა ოსმალეთში ნიადაგს ჰკარგავს...

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კიდევ მეპურენი.** პურის ახალი ნიხრი ვერ იქნა და ვერ დაკანონდა, მეპურენი პურს ისევ ძვირად ჰყიდიან, რის გამოც ქალაქის გამგეობას მცხოვრებთაგან დიდ-ძალი საჩივრები მისდის. მეპურენი თავის მხრით დიდად უკმაყოფილონი არიან და ამტკიცებენ, რომ ქალაქის სამეურნეო კომისიამ ცუდად გამოიანგარიშა პურის გამოცხობის ხარჯი, პურს შეუფერებელი ფასი დაადო და ამით განსაცდელში ჩაგვყარაო. მეპურეებმა შესაფერი საჩივარი შეიტანეს გუბერნატორთან. თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობასაც, ნიხრი გადაათვალიერეთო. ყველა საჩივარი გამგეობამ სამეურნეო კომისიას გადასცა განსახილველად.

— გუშინ ქალაქის პირველ ნაწილში ოქმი შეუდგინეს ცხრა მეპურეს პურის ნიხრის დარღვევისათვის. ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტები აღნიშნავენ, რომ მეპურენი ხეირიანს პურს არ აცხობენ, და ხშირად მესამე და მეორე ხარისხის ფქვილს ერთად ურევენ და მეორე ხარისხის პურად ჰყიდიან, ისიც ნიხრზე მეტადაო და სხვა.

✦ **ახალი სამხედრო წესდება.** ქალაქის სამხედრო საკრებულომ ამ დღეებში მიიღო სახელმწიფო სათათბიროსაგან და საბჭოსაგან მოწონებული და უმაღლესად დამტკიცებული სამხედრო წესდება, რომელიც ბევრად განსხვავდება ძველის წესდებისაგან. წინანდელ წესდების ძალით, ჯარში გასაწვევთათვის სამის ხარისხის შეღავათი არსებობდა, ახალის წესდებით კი ახალგაზრდათ ოთხის ხარისხის შეღავათი ეძლევათ. წინანდელ წესდებით ოჯახის მრჩენელად ითვლებოდა ის ყმაწვილი, რომელიც ხნით იყო არა ნაკლები 18 წლისა. ახალის წესდებით ოჯახის მრჩენელად ჩაითვლება ყმაწვილი, არა ნაკლები 16 წლისა.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი სამძიმრის წერილი: შორეულ ციმბირში გადმოკარგულთ მხოლოდ 15 ივლისს გავიგეთ მხცოვან პედაგოგის, გულწრფელ და პატიოსან მამულიშვილის **იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის** გარდაცვალების ამბავი; სულით და გულით ვწუხვართ და სამშობლო ქვეყნის მწუხარებას ვიზიარებთ. ციმბირში სამუდამოდ გადასახლებულნი **მიხ. ხუციშვილი და დიმიტრი გელიაძე.**

✦ **რკინის გზა ტფილისიდან მანგლისამდე.** ამ გზის გამყვანნი შუამდგომლობენ, რათა იძულებით ჩამოერთვას ბოტანიკურ ბაღის იქით მდებარე მიწები, რომელიც გზისთვის არის საჭირო და რომელიც მაჰმადიანთა სასაფლაოსა და კერძო პირებს ეკუთვნის.

✦ **სამეცნიერო ექსკურსია.** გუშინ წინ ტფილისს ესტუმრენ რუსეთიდან ბოტანიკოსი-პროფესორები, რომლებმაც დაწვრილებით დაათვალიერეს ტფ. საბოტანიკო ბაღი და გუშინ კი ბორჯომისა, ბაკურიანისა და ცხრა-წყაროსკენ გაემგზავრნენ. ტფილისში 15 აგვისტოს დაბრუნდებიან.

✦ მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა მეეზოვე ნიკოლოზ ტონიანცი, რომელსაც მიხეილის და ალექსეევის ქუჩის კუთხეში ცეცხლის გაქრობის დროს სხეული დაეწვა.

✦ 9 აგვისტოს ტფილისში 56 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** საგანგებო კრება ხუთშაბათს, 9 აგვისტოს, მოხდა ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავჯდომარეობით. თავჯდომარემ კრების დაწყებისათანავე წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა ღვაწლი და მნიშვნელობა ახლად გარდაცვალებულ პროფესორისა და საზოგადო მოღვაწის ალ. სოლ. ხახანიშვილისა. თავჯდომარის წინადადებით დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას. ამის შემდეგ კრება საკითხის განხილვას შეუდგა. როგორც მკითხველებმა იციან, ეს საკითხი იყო წესიერ დასვენების ახალი სავალდებულო დადგენილებანი, რომელიც ძალაში შევიდა 1 ივლისს და რომელმაც მრავალი უკმაყოფილება გამოიწვია ცხოვრებაში განხორციელების დროს. ხმოსნებმა დიდხანს იკამათეს და დაადგინეს, არსებითად განხილვა ახალ დადგენილებისა გადაიდოს სექტემბრისთვის, ხოლო მანამდე შეჩერებულ იქმნეს მოქმედება დადგენილებათა მე-5, 6 და 16 მუხლებისა.

სასწავლებლებში.

✦ **ტფ. სამხედრო სასწავლებელში** შესვლის მსურველთ ექიმი ჯანსაღობის მხრივ 13 აგვისტოს შეამოწმებენ. შემდეგ გამოცდა დაიწყება.

კავკავი.

✦ დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, საქართველოს სამხედრო გზაზე **ორი ავტომობილი ერთმანეთს დაეჯახა.** დაშავდა მყინვარის მწვერვალზე ამსვლელი ქალი პრეობრაჟენსკისა და ორიც სხვა მგზავრი. ავტომობილები აღარ გამოდგება.

ქუთაისი

✦ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის ტფილისის განყოფილების იურისკონსულტის თანამდებობას აქამდე დამფასებელი თ. ი. ფაღავა ასრულებდა. ამბობენ განყოფილების გამგე დირექტორს ი. ფანცხავას ეს ორი თანამდებობა ერთი კაცის ხელში შეუძლებლად უცვნია, რაშიაც ზედამხედველ კომიტეტის წევრთა უმრავლესობაც დასთანხმებია, ამისათვის თავ. ფაღავა 1 სექტემბრიდან დამფასებლის თანამდებობაზე უარს იტყვისო.

ამბობენ სადგილ-მამულო ბანკში დამფასებელთა კანდიდატად არჩეული თ. ივანე ნიჟარაძე სექტემბრის დამლევს ნამდვილ დამფასებლობაზედაც წამოაყენებს თავის კანდიდატურასო.

✦ რუსეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა პეტერბურგის ცენტრალურ ბანკის დირექტორი თავ. **ვ. მიქელაძე** ქუთაის ჩამოვიდა და აქედან ბორჯომს გაემგზავრა. როგორც ვწერდით, ის მეოთხე სათათბიროს დეპუტატობაზე თავის კანდიდატურას წამოაყენებს.

✦ სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, რომ აცანის მასწავლებლები: ეკ. ქუთათელაძისა, ლიუბა პაპავა, გრ. მაქავარიანი და ხ. ინწკირველი, სახალხო სკოლების დირექტორის განკარგულებით 1 აგვისტოდან **სამსახურიდან დაუთხოვნიათ.** მასწავლებლების დათხოვნა გამოუწვევია იქ მომხდარ სამედიატორო სასამართლოს გამართვას, სადაც ხსენებული მასწავლებლები იღებდნენ მონაწილეობას.

✦ ქუთაისის **ხელოსანთა ამხანაგობას** შეუძენია სახალხო ბანკის 2 აქცია თითო 250 მანეთია. სახალხო ბანკის გამგეობას გაუხსნია კრედიტი ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობისათვის, რომლის გამგეობასაც 1500 მანეთი უკვე მიუღია.

✦ აგვისტოს 11-ს **შავი-ქვის საბჭო** ჩაიბარებს გერმანელ ფირმისაგან აღებულ ჩამოსაშვებს მეჩერაში; ამ მიზნისათვის შემდგარა კომისია, რომელშიაც მოწვეულია ინჟინერები ბ. ბ. ცეიტლანი, ფრიკი, დრინანი, ავდეევი, ჰოარნიგი და კანოევი.

✦ კავკავის საოლქო სასამართლოს ბრალდებულმა ახალი საქმე აღძრა უჩა დადიანის წინააღმდეგ. მას ბრალს სდებენ 208 მუხ. სისხლის სამარ. წესით. უჩა დადიანს თხოვნით მიუმართავს ბრალმდებლისათვის და ამ უკანასკნელს თხოვნაში თავისი შეურაცხმყოფელი სიტყვები დაუნახავს. ამისთვის აძლევს სამართალში. უჩა დადიანმა ამის გამო თხოვნით მიმართა საოლქო სასამართლოს, სადაც აღნიშნავს თუ როგორ ცდილობდა ბრალმდებელი შევიწროება მოეყენებინა მისთვის.

სოფლად

✦ **ს. მეტეხი.** (ქართლი). 29 ივლისს მეტეხში ადგილობრივ ინტელიგენტთა და **გლეხთა** მონაწილეობით წარმოადგინეს გიდევანიშვილის „მსხვერპლი“. სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ სასცენო ასპარეზზე გლეხობაც გამოდის.

იაკობ გოგებაშვილის ფონდი

ბატონო რედაქტორო!

უკვე გამოგიგზავნეთ 21 მ. 70 კაპეიკი ჩემ მიერ შეკრებილი, ალავერდის მოსამსახურეთა შორის, დიდებულ **იაკობ გოგებაშვილის** ფონდის გასაძლიერებლად და ამასთანავე გაახლებთ სიას:

გრიგოლ ქადეიშვილი 2 მ., ვლადიმერ არსენიძე 50 კ., ილია თედეევი 2 მ., ანდრია ზედგინიძე 3 მ., ზოსიმე ფარულავა 2 მ., Ч М. Пети 2 მ. თითო-თითო მანეთი: სამსონ ურუშაძემ, აკაკი ურუშაძემ, თარხანოვი სტეფანემ, წულაძე მიტროფანემ, ლადიკო ჩხაიძემ, Степанъ Степанянцъ, Димитрій Хачитовъ, Семенъ И. Константиновъ 50 კ. ალფესი ცისკარიძემ, ნიკო ქორბენაძემ, და გეორგი ტურკაძემ.

სულ 22 მანეთი
ფოსტის ხარჯი 30 კაპ.
დარჩა მიღებული 21 მან. 70 კაპ.

ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო

ტუაპსე. 5 აგვისტოს გოგნაძის თაოსნობით ადგილობრივ ქართველების მიერ გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებულ ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად. ხალხი საკმაროდ დაესწრო, მხოლოდ ვერ ვხედავდით მუშებს. პანაშვიდის შემდეგ ეკლესიის ეზოში კნეინა დგებუაძისამ შინაარსიანი სიტყვა წაიკითხა და დამსწრენი გააცნო ხახანაშვილის მოღვაწეობა.

ს. ჯვარი. (ზუგდიდის მხარე). ჯვარზენის წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდელმა ზოსიმე ჭანტურიამ გადაიხადა პანაშვიდი ალ. სოლ. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად 5 აგვისტოს. პანაშვიდს, ადგილობრივ ინტელიგენციის გარდა, დაესწრნენ ქ-ბნი ანეტა დადიშქელიანისა და თავადი კოწო დადიანი.

მაჩხაანი (კიზიყი) 5 მარიამობისთვეს ადგილობრივ ეკლესიაში მღ. ქოქიაშვილმა პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულ პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად. გლეხობა ბლომად დაესწრო. პანაშვიდის მერე მღ. ქოქიაშვილმა დამსწრეთ გააცნო ხახანაშვილის ღვაწლი.

სამძიმრის დეპეშები.

ვენა. ვგლოვობ პროფესორ ხახანაშვილის დაკარგვას.

ჯავახიშვილი.

ხარბინი. უღრმესად ვწუხვართ იმ მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც ჰხვდა საქართველოს მეცნიერებისთვის დაუღალავ მუშაკის და ძვირფას პროფესორ ხახანაშვილის გარდაცვალებით.

ქართველი საზოგადოება.

ნოტანები. გომის მთის მოაგარაკენი ღრმად დაგვამწუხარა საზოგადო მოღვაწის, სამშობლო ქვეყნის მოამაგის მეცნიერ ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალებამ.

ბრონისლავა კალატოზოვისა და სხვანი.

ქართული საღამო

შაბათს, 11 აგვისტოს, ქართულ თეატრის საზაფხულო სადგომში **გაიმართება ქართული მუსიკის პირველი საღამო** მომღერალ ცხომელიძის თაოსნობით.

საღამოზე იმღერენ ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებებს. კ. ს. ცხომელიძე იმღერებს ქართველ კომპოზიტორის დ. არაყიშვილის უკანასკნელს ნაწარმოებს. როგორც გავიგეთ, ცხომელიძეს განუზრახავს გამართოს რამდენიმე ამ ნაირი საღამო, რათა საზოგადოებას გააცნოს ყველა ვოკალური ნაწარმოები ჩვენი კომპოზიტორებისა. არ შეიძლება არ თანავუგრძნოთ ამ სიმპატიურ განზრახვას და არ ვუსურვოთ გამარჯვება.

ჩვენ, ქართველებს, ვოკალურ მუსიკის ცოტა ნაწარმოები კი არა გვაქვს, რომელიც სამუსიკო მაღაზიების თაროებზე ალაგია და ქართველი საზოგადოება კი არა იცნობს. ერთის მხრით იმისთვისაც, რომ ქართველმა მომღერლებმა არა იციან რა მათი არსებობისა და, რასაკვირველია, არცა მღერიან. იმედი გვაქვს საზოგადოება ყურადღებოდ არ დასტოვებს ამას და თანაგრძნობით მოეკიდება. ამ საღამოში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს ახალგაზდა მომღერალი ქალი მახვილაძე, რომელიც მშვენიერი დრამატიული სოპრანოა.

სექტემბერში განზრახულია ქ-ნ მახვილაძის პირველი დებიუტი. იგი იმღერებს „დემონში“ (ქართულად) თამარის როლს.

„ავლაბრის წრე“ არმაზში.

კვირას, 5 მარიამობისთვეს, ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის სცენის-მოყვარენი, მომღერალთა და სიმებზე დამკრელთა გუნდები გაემგზავრნენ მცხეთაში ძველ ეკლესია-მონასტრების დასათვალიერებლად. მისვლისას მცხეთაში სვეტი-ცხოვლის ეკლესიაში დახვდათ ტფილისიდან მისულნი, რომელთა შორისაც იყო ჩვენი თანამემამულე პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი და ესაუბრებოდა ძველ ხუროთ-მოძღვრებისა და მხატვრობაზე სვეტი-ცხოვლის შესახებ, რაშიც ავლაბრის წრემაც მიიღო მონაწილეობა.

საღამოთი ისევე დაბრუნდნენ მცხეთიდან და გაემგზავრნენ არმაზის მთაზე იქაურ სიძველეთა დასათვალიერებლად. რადგან უკვე ბინდი იყო, რომ ავიდნენ მთაში, ამიტომ მეორე დღიდან შეუდგნენ იქაურობის დათვალიერებას. იმ დღეს არმაზში, ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში, წრის მომღერლებმა ქართულად იგალობეს. შემდეგ გაემგზავრნენ ქართლოსის ციხეში და ყველა ამათი ნახვით ნასიამოვნები ორშაბათს საღამოთი „ავლაბრის წრე“ დაბრუნდა ტფილისში.

საფოსტო მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნა

6 აგვისტოს, გათენებისას, ბაქოდან გასული სამგზავრო მატარებელი № 3 გავიდა სადგურ გროზნიდან ორის ორთქლმავალით. სადგურ „მირსკოიდან სამი ვერსის დაშორებით შემდეგი უბედურება დატრიალდა: პირველი ორთქლმავალი ძალიან გაუშვეს, ამის გამო ლიანდაგს გადასცდა და ნელა წავიდა. მას დაეჯახა მეორე მატარებელი და პირველი თავდაყირა გადაავგორა. გაქანებული უკანა ვაგონები დიდის ძალით ეჯახებოდნენ დამტვრეულ ორთქლმავალებს, ზედ გადადიოდნენ და იმსხვრეოდნენ. ამას მიჰყვა საფოსტო ვაგონიც. მაგრამ უკანა სახალხო ვაგონებმა ვეღარ შესძლეს ორთქლმავლებზე გადახტომა, ეჯახებოდნენ. და ლიანდაგიდან ძირს ვარდებოდნენ გაისმა საზარელი წივილ-კივილი, ვაგონებიდან შველას ითხოვდნენ. ვაგონების ახლოს მგზავრები აქეთ-იქით დარბოდნენ. 5 წუთის შემდეგ ვაგონებიდან დაიწყეს გამოსვლა დაჭრილ-დაშავებულმა კონდუქტორებმა. გზის დარაჯი გაექანა სადგურ „მირსკოისაკენ“ მომხდარ უბედურების შესატყობინებლად. სადგურის უფროსს ადრევე შეეტყო და თვისი თანაშემწეებით მირბოდა დამსხვრეულ მატარებლისკენ. ამ სურათმა ისეთი გავლენა მოახდინა სადგურის უფროსზე, რომ გული წაუვიდა. ერთმა აგენტთაგანმა ბრძანება გასცა მოეწყოთ დროებითი ტელეგრაფი, რის საშუალებითაც აცნობეს რკინის გზის უფროს ინჟინერ კრიგერ-ვოინოვსკის, თანაც სთხოვა რაც შეიძლება ბევრი ექიმები და ჭრილობის შესახვევი მასალები გამოეგზავნა. სადგურის უფროსი გონს მოვიდა და დაათვალიერა ვაგონები. ზოგი დამსხვრეული იყო, ზოგიც—დაჭეჭყილი. ზოგიერთებში ხალხის ნახევარი ნაწილი დაშავებული იყო. სადგურის უფროსმა ამოიღო შესახვევები და რამდენიმეს ჭრილობა შეუხვია. შუადღის თორმეტ საათზე როსტოვიდან მომავალი მატარებელი გამოჩნდა. შიგ იყვნენ ინჟინრები კრიგერ-ვოინოვსკი, დუნინი, ბევრი სხვა თანამდებობის პირნი და ექიმები. ამათ გარდა ინჟ. კრიგერ-ვოინოვსკის კიდევ მოეწვია ქალაქის ექიმები. მომხდარ უბედურების ადგილის ახლოს დადგეს კარვები, სადაც დაშავებულები დროებით მოათავსეს.

ვაგონებიდან გამოიყვანეს ყველა დაშავებულები; რომელთა რიცხვიც ორმოცია. ზოგი იმათგანი მძიმეთაა დაშავებული, მათი მორჩენის იმედი არა აქვთ. ყველას შეუხვიეს ჭრილობა, მოათავსეს კარვებში და ახლა დახოცილების ამოღებას შეუდგნენ. სულ 11. ვაგონის ბაქანზე ერთი მოკლული ქალი იყო, იქვე ახლოს ეგდო ერთი ფეხებ მოწყვეტილი აფიცერი. ყველას დახმარების აღმოჩენის შემდეგ მოიწვიეს მცველები და მატარებელს მიუყენეს. გზა 200 საჟენის მანძილზე ისე ძალიან გაფუჭებულა, რომ ბევრი შრომა დასჭირდებათ მის გასაკეთებლად. დამსხვრეული აღმოჩნდა ორივე ორთქლ-მავალი, საბარგო, საფოსტო და ერთიც სახალხო ვაგონი, დანარჩენები კი ისეა დაჭეჭყილი, რომ მთლად აღარ გამოდგებიან. რომ ჩქარი მატარებელი არ დაეგვიანებინათ მაშინვე შეუდგნენ სხვა გზის გაკეთებას, რადგან ძველის შეკეთება უფრო მეტს დროს მოითხოვს. ზოგიერთ აგენტების აზრით მატარებლის დამსხვრევა მოხდა ბოროტ-მოქმედებისაგან ლიანდაგის გაფუჭებით, სადგურის მოსამსახურეები კი ირწმუნებიან წვიმებმა გააფუჭა გზაო. ორივე მოსაზრების დასამტკიცებლად საჭიროა ლიანდაგის გასინჯვა, ის კი ისეა გაფუჭებული, რომ ეს ვერ მოხერხდება.

დაჭრილ-დახოცილები სადგ. მირსკოის საავადმყოფოში მოათავსეს.

ამის გამო კავკავის რკინის გზაზე მატარებლები იგვიანებენ. (კასპი).

ქართველები პარიზში

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პარიზში სულ იქნება 25—30 ქართველი. აქ მაინც არსებობს ქართული საზოგადოება, რომელიც 1907 წ. დაარსებულა. ამ დროის განმავლობაში მას ბევრ ქართველისთვის გაუმართავს ხელი გაჭირვების დროს და რამდენიმე სამშობლოშიაც კი გაუგზავნია თავისი ხარჯით. ამ საზოგადოებამ შესძლო პატარა ბიბლიოთეკის დაარსება მცხოვან პოეტ აკაკის სახელობაზე. ბიბლიოთეკას დღესა აქვს 300—400 წიგნამდე ქართული, ფრანგული და რუსული. ამ საზოგადოებას არა აქვს არც დიდი შემოსავალი და არც დიდი ძირითადი თანხა. ამ დღეებში მომხდარ საზოგადოების წლიურ კრებიდან, სადაც მოხსენებული იყო ანგარიში და მოქმედება საზოგადოებისა, გამოირკვა, რომ საზოგადოება ძალიან გაჭირვებულ დღეშია ჩავარდნილი ნივთიერის მხრივ. მისი ძირითადი თანხა სულ 70 ფრანკია. საზოგადოების უპირველესი მიზანია რომ სულიერი კავშირი მაინც არ გასწყვიტოს სამშობლოსთან და თვალ-ყური ადევნოს მის კულტურულ განვითარებას. საჭიროა, რომ წრესა ჰქონდეს ბინა, სადაც შეიძლებოდეს სამკითხველოს მოთავსება და დრო გამოშვებით შეკრება ლექციების და რეფერატების საკითხავად. საწევრო ფული იმდენად ცოტა შემოდის, რომ ძლივს ასდის საზოგადოების აუცილებელ ხარჯს. რამდენიმე ხნის წინედ ამ საზოგადოებამ მიჰმართა ზოგიერთ ჩვენ მეცენატებს, რათა მათ აღმოეჩინათ მცირე ნივთიერი დახმარება, მაგრამ ამ უკანასკნელებმა პასუხის ღირსიც კი არ გახადეს საზოგადოება. დიდი დახმარება კი არ არი საჭირო ამ საზოგადოებისთვის: სულ 25 მანეთი თვეში, ვიდრე საზოგადოება შესძლებს სხვის დაუხმარებლად არსებობას.

დრო გამოშვებით ეს საზოგადოება ჰმართავს სალიტერატურო საღამოებს, სადაც იკითხება ლექციები, რეფერატები და ან კიდევ რომელიმე წევრი წაიკითხავს ხოლმე თავის ნაწარმოებს. მინდა შევჩერდე უკანასკნელ ყოვლად საინტერესო საღამოზე, რომელზედაც დროებით აქ მყოფმა ჩვენმა თანამემამულემ გერმანიის სტუდენტმა **ალექსანდრე სვიმონიძემ** წაიკითხა რეფერატი: **უძველესი ცნობანი ქართველ ტომების შესახებ.** ეს ცნობები რეფერენტმა მიაკუთვნა 1. ეგვიპტელებს, 2. ასურელებს, 3. ებრაელებს (ფინიკიელებს?) და 4. ბერძნებს.

ეგვიპტურ წყაროებიდან რეფერენტმა ორი დაასახელა, სადაც მისი აზრით, ქართველი ტომები იხსენიება: პენტაურის პოემა, სადაც რამზეს 2-ის (1333) ლაშქრობაზეა ლაპარაკი ხეტელების წინააღმდეგ და კარნაკის ტაძრის წარწერა, რომელშიაც ფარაონ მინეფტა 2-ის და ლიბაელების ომია აწერილი. რეფერენტი ეცადა დაემტკიცებინა, რომ პენტაურის პოემაში დასახელებული ერები „მოსხ“ და „კოლქის“ [illegible] მესხები და კოლხები არიანო. ესენი, როგორც პოემიდან სჩანს, ხეტელების მოკავშირეებათ ყოფილან რამზესის წინააღმდეგ. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსად რეფერენტმა მეორე წარწერა აღიარა, რომლის საინტერესო კომენტარი უდიდეს ევიპტოლოგს ბრუგშ ეკუთვნის. ამ უკანასკნელ არგუმენტის დასამტკიცებლად რეფერენტმა გამოსთქვა ის მოსაზრება რომ დასახელებულ ადგილს ლიბიელების მოკავშირებად მოხსენებულნი „შორეულ-ჩრდილოეთის“ ერები: (სარდანა, საკალსა და აკეიუზა) სარდინელები, სიცილიელები და აქეელები კი არა, არამედ კოლხურ-კავკასური ტომები არიანო. შემდეგ რეფერენტმა განიხილა დაბადების ცნობები ქართველ ტომების (თუბალ-მესხის) შესახებ. ამ ცნობიდან იგი ეცადა ქართველებისთვის, ორი ძვირფასი დასკვნა გაეჭეშმარიტებინა; 1. რომ დასახელებული ტომები ლითონის გადამუშავების დამწყები თუ არა, მისი უძველესი და უნიჭიერესი მწარმოებელნი მაინც ყოფილან. ეს დასკვნა მან ცნობილ არქეოლოგის ვირხოვის და ისტორიკოს მაიერის მოწმობაზე დაამყარა.

მეორე საყურადღებო დასკვნა, რომელიც შრადერის არგუმენტებით დაასაბუთა, მართლაც ჭეშმარიტად უნდა იქმნეს მიჩნეული; ეს შედეგია, რომ დაბადების „თუბალი და მესეხი“ პაწია ტომები კი არა არამედ ისეთივე ძლიერი და დიდი ერები იყვნენ, როგორც მათ მეზობლად დასახლებული ქიმერიელები, სკვითები, მიდიელები და სხვა.

ასურეთის წყაროების მიხედვით რეფერენტი ეცადა თან-და-თანობით განეხილა მესხების და ტიბარენების ხანგრძლივი ბრძოლა ასურეთის წინააღმდეგ. გზა და გზა იგი ამ ცნობებსაც იშველიებდა ზემოთ დასახელებულ ორი დასკვნის განსამტკიცებლად. ამ ცნობების განხილვის შემდეგ მან ცალკე გამოჰყო კითხვა ქართველ ტომების ძველი ისტორიული მნიშვნელობის (მათი ძლიერების) შესახებ და წინად თქმულის და, აგრედვე ისტორიკოს ვინკლერის და მაიერის მოწმობების მიხედვით, დაამტკიცა, რომ თუ ძველად ეს ორი ტომი ძლიერნი ყოფილან საერთოდ მე-VIII საუკუნის დამლევს, მათი სამეფონიც (მეტადრე მესხების) ნამდვილ დიდ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენო. ამ ცნობების გადმოცემის დროს, ბ-ნი რეფერენტი გაკვრით გამოეკამათა ჩვენს ცნობილ ისტორიკოს ჯავახიშვილის ორ დებულებას, სახელდობრ ასურეთის ხანაში ქართველი ტომები (ტიბარენ-მესხები) გაცილებით სამხრეთით ბინადრობდნენ ვიდრე შემდეგ და ქართველები და სომხები შემდეგ შემოსულან კავკასიაში. პირველი დებულების წინააღმდეგ მან დაიმოწმა შრადერი, მაიერი, კიპერტი და აღნიშნა: უმჯობესია ითქვას, რომ ეს ერები დასახელებულ დროს შორს უწევდნენ სამხრეთისაკენო. მეორე დებულება ბ-ნ ჯავახიშვილისა რეფერენტმა უხერხულ გამოთქმულად აღიარა, რადგან მისის აზრით, ქართველებისა და სომხების კავკასიაში შემოსვლის გათანასწორება შეუწყნარებელია. რეფერენტი ამტკიცებდა: რომ თვით ბ-ნ ჯავახიშვილმაც კარგად იცის, რომ სომხები გეროდოტის დროსაც კი ძლივს უწევდნენ არაქსის სათავეებამდე, როდესაც რიონის ხეობა, ჭოროხის ჩასართავი და არაქსის სათავე, მისის აზრით, გეროდოტზე ბევრად ადრე ქართველებით იყო დასახლებულიო.

ბერძნულ წყაროების განხილვის დროს, რეფერენტი, პირველ ყოვლისა ეცადა შემდეგი კითხვა გადაეწყვიტა: თუ რა დროიდან იცნობდნენ ბერძნები კოლხიდას? მან მოიყვანა ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრი იმის შესახებ: იცნობდა ჰომეროსი ან მის წინედ მცხოვრებნი ბერძნები კოლხიდას თუ არა. რეფერენტის მიერ მოყვანილ არგუმენტებს აქ არ ჩამოვთვლი, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ იგი საკუთარის და აგრედვე ენგელმანის, ნოიმანის, დიუბუას და რიტერის არგუმენტების მიხედვით იმ აზრს დაადგა, რომ ბერძნები უძველეს დროიდანვე იცნობდნენ კოლხიდას.

რეფერენტმა განიხილა გეროდოტის ცნობები ქართველ ტომების შესახებ, განსაკუთრებით მისი ჰიპოტე-

ზა კოლხების ეგვიპტიურ ჩამომავლობის შესახებ. შემდეგ იგი შეეხო სხვა უფრო ახალ დროის ჰიპოტეზებს კოლხების ჩამომავლობის შესახებ და განიხილა რიტერის, შოხარტის, სტიკიუსის და ჰილსტენიუსის, გესნერის და მიხაელისის ჰიპოტეზები, რომელთაგანაც პირველი (რიტერი) ინდოელებს უკავშირებს კოლხების ჩამომავლობას, მეორე—ბიბლიურ კასლუხებს, მესამე და მეოთხე—ებრაელებს, მეხუთე—ფინიკიელებს და მეექვსე—სირიელებს. ყურადღების ღირსად და გასაწევად რეფერენტმა მხოლოდ გეროდოტის ჰიპოტეზა აღიარა.

ქსენოფონტის ცნობების განხილვის დროს, რეფერენტი შეეხო იმ კითხვას თუ რად გაჰქრნენ მესხები სამხრეთით. ამ კითხვას მან იბერების წარმოშობის კითხვა დაუკავშირა, რომელთაც მათი ძველი ტერიტორიის ნაწილი დარჩათ. იბერების ჩამომავლობის შესახებ რეფერენტმა მოიყვანა პროფესორ ლემანის მიერ, ბ-ნ ჯანაშვილისგან გაგონილი, ჰიპოტეზა, ქართველების და ქარდუელების (Qardu) იგივეობის შესახებ და მოკლედ გაარჩია იგი. შემდეგ რეფერენტი რიგ-რიგად შეეხო ქსენოფონტისაგან დასახელებულ ყველა ტომებს და მოიყვანა მათ შესახებ ძველი და ახალი მწერლების ცნობები. ტაოელების ვინაობის განხილვის დროს აღნიშნა, რომ ზოგიერთ თანამედროვე ისტორიკოსის აზრით (მარი, ბელკი და სხვა) ესენი იგივე ასურულ წყაროების დაიენები უნდა იყვნენო.

რადგან რეფერატმა დიდხანს გასტანა, რეფერანტის დრო აღარ დარჩა შეჰხებოდა დანარჩენთ ე. ი. ქალიბებს, ურარტიელებს და სხვა ძველ ერებს. რეფერეტას დასასრულ საზოგადოებამ დამსახურებული მადლობა გადუხადა ბ-ნ რეფერენტს, რომ მან არ დაიზარა და გაუზია რა მას ყოვლად საინტერესო ცნობები.

სიხარულით უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომ აქაური მოსწავლე ახალგაზრდობა არ მისცემია, ჩვეულებრივ ჩვენ ქართველ მოსწავლეებისავით, ქეიფსდა დიდის მუყაითობით ეკიდებიან თავიანთ საქმეს, რიცა სჩანს იქიდანაც, რომ ეს ორი წელიწადია, რაც რეგულიარულად ათავებენ აქ უმაღლეს სწავლას და სათანადო ცოდნით ბრუნდებიან სამშობლოში. შარშან ორმა ქართველმა გაათავა უნივერსიტეტი და მიიღეს ეგრედ წოდებული „Licence“ სახელდობრ ბ-ნ კ. გოგელიამ და ბ-ნ ჯანელიძემ. წელსაც ორმა ქართველმა ბ-ნ გიორგი ციციშვილმა და ბ-ნ ნოე ყიფიანმა. ეს ახალი მოვლენაა ჩვენთვის, რომ პარიზიდან ბრუნდებოდნენ სამშობლოში კურს დამთავრებული და აღჭურვილი წესიერის ცოდნით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის უმეტესობა, გარდა ქალებისა, საბუნებისმეტყველო საგნებს გადიან. ვერც აქაურ ქალებს დაემდურება კაცი, რასაც მოჰკიდეს ხელი ბოლომდის მიიყვანეს საქმე. მაგრამ ერთის მხრივ კი, მე მგონია, საყვედურის ღირსნიც არიან. აი რამდენი ქართველი ქალი ყოფილა ღ არის კიდეც ღ არც ერთ მათგანს არ მიუღიათ სხვა ცოდნა და მოწმობა თუ არ „ფრანგულ ენის მასწავლებლობის“ უფლებისა, არა მგონია რომ ყველა მათგანი აღჭურვილი იყოს იმ აზრით თავიანთი სიცოცხლე შესწირონ საპედაგოგო ასპარეზს.

სასურველია, რომ მანდაური საზოგადოება ცოტა გულ-თბილად მოეკიდოს და მხარი დაუჭიროს აქაურ საზოგადოების მიზნის განხორციელებას და, ვინც რითაც შესძლებს, დახმარება აღმოუჩინოს ამ პატარა, მაგრამ არა უნაყოფო საზოგადოებას. საზოგადოების მიზანი, როგორც ზემოთ ვსთქვი იმდენად დიდი არ არის, რომ მისი განხორციელება ძნელი იყოს. საჭიროა მხოლოდ პატარა გულ-კეთილობა და არ დავიწყება თანამემამულეთა. განსაკუთრებით, სასურველია, რომ ყურადღება მიაქციონ წიგნის გამომცემლებმა და ავტორებმა. მათთვის ერთი წიგნის გამოგზავნა დიდი დანაკლისი არ იქნება, ამ პატარა დახმარებით კი ეს საზოგადოება შესძლებს ღირსეულ ბიბლიოთეკის დაარსებას პარიზში.

ვანო გველესიანი.

წერილი ქიზიყიდან

ჩვენისთანა მცირე რიცხოვან ერისათვის ზედიზედ ესეთი დანაკლისები, როგორიც დაუვიწყარ ჩვენი აღმზრდელი იაკობ გოგებაშვილისა და პროფესორ ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის დაკარგვაა, ძრიელ საგრძნობელია დი ათას გვარ მწარე, შავი ფიქრების აღმძვრელი. ეხლა, ამ დუხჭირ დროს გვეჭირვება ჩვენ, ერთგულნი, დაუღალავნი მუშაკნი და აი ბედიც თითქოს ეხლა არა გვწყალობს...

ქვემო-მაჩხაანის შეგნებული პირნიც დაამძარა საზოგადო მოღვაწის, ჩვენის წარსულის მიუდგომელ მკვლევარის ალექსანდრე ხახანაშვილის უდროვოდ სიკვდილმა. 2 აგვისტოს შევიკრიბენით წმ. სამების ეკლესიაში და მრავალ ხალხის თანადასწრებით გადავიხადეთ პანაშვიდი მის სულის მოსახსენებლად. სამძიმრის დეპეშაც გამოიგზავნა „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

არა და არ გაავდარდა. ცამ დაგვიძვირა ცვარ-ნამი. შევყურებთ გულხელ დაკრეფილნი, ულონოდ დანაღვლიანებულნი ცას და არ ვიცით, რა ვიღონოთ, გვალვისაგან მოყენებულ შეწუხებას რა წამალი გამოუძებნოთ. ვენახებიც მიგვდის ხელიდან... ეხლა ადამიანი ვენახში საცოდაობისაგან ველარ შესულა. ტირილი მოგივათ მზის სხივებისაგან გაწითლებულ-გამხმარი მტევნები, რომ დაინახოთ ვაზებზე ულონოდ ჩამოკიდებულნი, ასე გგონია მტევნები განგებ ვისმეს ქვაბში მოუთუთქნიაო.

ტყუილად კი არ გვეძახიან ქიზიყელებს „ღრუბლების სინაბარა ხალხს“. მართლაც ქიზიყელთა ცხოვრება მარტო ღრუბლების შემყურეობაა. მოვა წვიმა, აქაური მსუქანი, პოხიერი, შავი-ფხვიერის მიწაც მოგვცემს ნაყოფს გულუხვს, მცხოვრებთა გამხარებელს, არა-და—ხახამშრალებს ზეცისაკენ ცქერით თვალები უნდა დაგვებრიცოს: აცა როდის იქნება ღრუბლის ნაჭრები გაჩნდეს როგორმეო... აქ არის სალმრთოები, გულის მომალხენელნი?!..

განა დიდი ფული, შრომა და ღვაწლი უნდა, რომ ყოვლად უსარგებლო ალაზანი გადმოგვეყვანა არხით სათავიდამ თუ არა, ველისციხის ბოლოდან მაინც და ეს ჩვენი დაულევნელი სიმდიდრის წყარო ალაზნის ველი მორწყულიყო. ამ ველით არ იკვებება და სცხოვრობს ქიზიყ-კახეთის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი? ეს ველი, რომ ირწყვებოდეს თავთავის დროზე, სამოთხის დარი შეიქმნებოდა. რა გინდა სულო და გულო, რომ ამ მადლიან და შესანიშნავ ნიადაგიან ველ-მინდორს არ მოეყვანა მაშინ. მართლაც საუცხოვო, სულისა და გულის გამახარებელ წალკოტ-ბაღად გადაიქცეოდა ეს ჩვენი, ხანდისხან გულღრძუი, საუნჯე. ეხლაც, თუ ხან გამოშვებით მოგვდის ხოლმე სულადი, ესეც იმიტომ, რომ მაისი ქიზიყში წვიმიანი იცის, დადგება, თუ არა თიბათვე, დაიჭერს უდიერ გვალვას და ყოველსავე ახმობს. ეს ასეა რაც თავი შემისწავლია. მოხუცებულნი კი ამბობენ, არა, წინედ ესე არ იყოო, ბუნება გამოიცვალა, ესეთი დაჟინებული ხანგრძლივი სიცხეები არ იცოდაო...

სხვაც არა იყოს რა შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულნი და ალაზან გაღმა მცხოვრები რომ შეხედავენ ჩვენს ასეთს გაჭირვება—ბეჩაობას ძრიელ უკვირთ და თავს აქნევენ, „რათა ხართ ისეთი მოუხერხებლები, რომ ალაზნით ვერ გისარგებლნიათო“. „ჩვენ, რომ თქვენს ადგილას ვცხოვრობდეთ, სხვაც არა იყოს რა, მანქანების საშუალებით მაინც ამოვიყვანდით მაგ ვეებერთელა მდინარეს, მეურნეობას ავაყვავებდით და მეფურად ვიცხოვრებდით, უზრუნველადაო“...

ქიზიყელები, სხვა ფრივ წამხედველი ხალხია: ახალი სასარგებლო რამ გამოგონება იარაღი, თუ მანქანა ამათ არ გამოეპარებათ, ეხლა ქიზიყში ბევრი სალეწ-სათიბი მანქანა მუშაობს. რატო ამ სარწყავ წყლის არხი ვერ გამოუყვანიათ ალაზნიდან?!. ხომ იციან, რომ თამარ დედოფლის დროს ყოფილა ასეთი არხი და ეხლაც მოსჩანს კვალი.. დიდ საშვილიშვილო საქმეს იკისრებს ამ სასარგებლო დაწყობილობის მოთავე, თუ გამოჩნდება ვინმე... მაშინ ქიზიყი სულ სხვა ელფერს მიიღებს, ზამთარ ზაფხულ მწვანედ იქნება აბიბინებული, ეხლა გახრიოკებულ-გადაბუგული მინდორი... განსაკუთრებით, თუ ოდესმე კახეთის რკინის გზამაც დაგვხედა—მაშინ ქიზიყი აღებ-მიცემობისა და გაუმჯობესებულ მეურნეობის ბუდედ გადაიქცევა...

X.

სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება

და

საქართველოს ეკლესიის საკითხი.

ამნაირად საეკლესიო კრება რუსეთში მახლობელ მომავალის სინამდვილედ უნდა ჩაითვალოს. ჩვენთვის, ქართველებისათვის, ამ კრებაში გარდა საერთო და, ასე ვთქვათ, უწყებრივ ინტერესისა საგულისხმო ის არის, რომ რანაირიც უნდა იყოს მისი შემადგენლობა, აქ დაისმება გადასაწყვეტად საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი. ასეთია ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი სურვილი, რომელიც ჯერ კიდევ 1906 წელს უმოწყალესად ეცნობა ჩვენს ეპისკოპოსებს. უწმინდესმა სინოდმა ამის შესახებ თავის დროზე სასულიერო თუ საერო მოხელეთა მეოხებით რამოდენიმე ათასი უკაზი გაავრცელა ჩვენს ხალხში. იმ დროს ეჭვი არავის ჰქონდა, რომ საქართველოს ეკლესიას მის ისტორიულ უფლებებს დაუბრუნებდნენ, მხოლოდ მთელი საკითხი იმაში იყო, თუ როგორ უნდა მოხერხებულიყო დამოუკიდებლობის აღდგენისა, პოლიტიკური ერთობა ხელუხლებელი დარჩენილიყო. ბუტკევიჩებმა და ვოსტორგოვებმა ტრელინებითურთ შური იძიეს ქართველ ერზე, ბოროტად გამოიყენეს საეკლესიო კრების წინასწარ სათათბიროს უფლებანი, თითქმის მასხრად აიგდეს ჩვენი ეპისკოპოსები და პროფესორები და ბოლოს სათათბიროს მეორე განყოფილების სახელით ის დასკვნა გამოიტანეს საჯაროდ, რასაც გულში წინდაწინ აღოლიავებდნენ. ესე იგი საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიის ყურმოჭრილი ყმაა, რომელსაც უფლებაც კი არა აქვს იოცნებოს დამოუკიდებლობაზეო. რასაკვირველია, თვით საეკლესიო კრებისათვისაც კი არც რამოდენად სავალდებულო არ არის მის წინასწარ სათათბიროს დასკვნილება, თორემ საქართველოს ეკლესიისათვის ხომ სრულებით არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს წინასწარ სათათბიროს აზრს იმის შესახებ, რომ ქართველები ვითომ უკანონოდ სცდილობენ თავიანთ ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას. ასეთი დადგენილება კანონიერ მნიშვნელობას მოკლებული იქნება იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მას თვით რუსეთის საეკლესიო კრება მიიღებს, რადგანაც მხოლოდ მსოფლიო კრებას ან, უკიდურეს შემთხვევაში აღმოსავლეთის პატრიარქებს ჩვენივე წარმომადგენლების თანახმობით შეუძლიანთ იურიდიულად გააუქმონ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი. ყოველსავე სხვა გზას თუ ზომას საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხში ისეთივე ფუჭი მნიშვნელობა აქვს მომავალისათვის, როგორი მნიშვნელობაც აქვს თქვენთვის, მკითხველო, მეზობლის ახირებულ სურვილს, რომ თქვენ თქვენს ოჯახში ისე იცხოვროთ, როგორც მას სურს და არა როგორც თქვენ გსურთ.

მაგრამ ხანდისხან მეზობელსაც შეუძლია აგიშალოს კერა, აგიწეწოს შინაური საქმეები და გაგიმწაროს ოჯახის სიტკბოება. რუსეთის საეკლესიო კრებასაც ძლიერ ადვილად შეუძლია გაართულოს ჩვენი საეკლესიო საკითხი, თავისებურად უკანონოდ იცნოს იგი, ჩვეულებრივ ეპარქიებად ან ყოველ შემთხვევაში დღევანდელსავით დამოკიდებულ მიტროპოლიად აღიაროს საქართველო და ამნაირად ისევ შორეულ მომავალს არგუნოს ამ საკითხის რიგიანი და კანონიერი გადაწყვეტა. აქ შეუძლებელი არა არის რა. სულ სხვა სურათი გვეშლება თვალწინ, თუ საეკლესიო კრება პატივცემით მოეპყრა ჩვენს უფლებებს. მაშინ ჩვენის ეკლესიის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ აღდგენას წინ არა დაუდგება რა.

ამა თუ იმ სახით გადაწყვეტა ჩვენის საეკლესიო საკითხისა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე დამოკიდებულია როგორც თვით კრების შემადგენლობისაგან, აგრეთვე იმისაგან, თუ რამდენად დასაბუთებულ და ობიექტიურად პატივსადებ მასალას წარუდგენენ კრებას ჩვენი წარმომადგენლები. მაგრამ თუ კრების წევრთა პიროვნება-მიმართულებას ჩვენ ვერ შევქმნით, მასალის შემუშავება ხომ ჩვენგან და მხოლოდ ჩვენგან არის დამოკიდებული. შეიძლება ცხად საბუთებს წინგანძრახული ქინიანობაც ვერ დაუდგეს წინადა, მაშასადამე, ჩვენვე ვართ ჩვენის ეკლესიის ბედ-უბედობის შემოქმედნი. ვინ გაიმარჯვებს კრებაზე—ცენტრალურ აბსოლიუტიზმის მომხრე სინოდი, დამოუკიდებელ კლერიკალიზმის მოტრფიალე სამღვდელოება თუ დემოკრატიულ თვითმმართველობის მაძიებელი მორწმუნე საზოგადოება,—ყოველნაირი მიმართულება პირველ ხანებში მაინც შეეცდება, რომ საქართველოს ეკლესია ისევ ყმად დასტოვოს და ამაში მას უსათუოდ მხარს დაუჭერს მთავრობა, რომელსაც, ისტორიის გაკვეთილების და კეთილ გონიერების ხმის მიუხედავად, ჩვენის ეკლესიის საკითხში ცნობილი სეპარატიული საფრთხე ელანდება. საჭიროა ვრცელი მასალა, სერიოზული მომზადება და შეთანხმებული მოქმედება. ჯერჯერობით არც ერთი არა გვაქვს და ან თუ გვაქვს, იმ სახით, რა სახითაც დღეს არსებობს, გამოუსადეგარია საეკლესიო კრებისათვის, რომელსაც უბრალო ბერებთან და არხანგელსკ-ვოლოგდის გლეხებთან ერთად უსათუოდ სწავლულნი და ღრმა ცოდნით აღჭურვილნიც დაესწრებიან. ასეთებისთვის პატივსადებ მასალას ჩვენ ვერავითარი გზით ვერ შევიმუშავებთ იმ მოკლე ვადაში, რომელიც ჩვენ მოგვეცემა კრების გამოცხადების დღიდან თვით კრების გახსნამდინ. ეს უეჭველია. სხვა რომ არა იყოს რა, საეპარქიო კრებებიდან მაინც ვიცით, როგორ ძნელია სერიოზულ საკითხების მრავალრიცხოვან კრებაზე გადაწყვეტა...

მაგრამ როცა მუშაობაზე და გონების მოქმედებაზე მიდგება საქმე, ჩვენი სოფლები უსათუოდ ქალაქებს შესცქერიან და ქალაქები კიდევ ტფილისსა. კერძოდ ამ შემთხვევაში პროვინციის სამღვდელოება ტფილისელ სამღვდელოებაზე მიაგდებს საქმეს. და აქ დატრიალდება ის.... უბედურება, რომელიც არა ერთხელ და ორჯერ ეწვია ჩვენს საეკლესიო საკითხს. არ გამოვუდგებით წარსულს და მრავალ შემთხვევათა საერთო დახასიათებას. დღეს ყველამ კარგად ვიცით, რომ ტფილისელ სამღვდელოებას ძლიერაც რომ სურდეს, მაინც მრავალ სხვა და სხვა მიზეზებისაგამო არ შეუძლიან მოახერხოს პროვინციის სამღვდელოების წინგაძღოლა და ნაყოფიერი მუშაობა. რა მიზეზებია ასეთი, ეს სულ ერთია,—ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა,—ეს კი ცხადია და ამ თავითვე უნდა ვიქონიოთ სახეში, როგორც უტყუარი ჭეშმარიტება, რომ **ტფილისის სამღვდელოებას არაფერი არ შეუძლიან ღ ტყუილად ნურავის ნურავითარი იმედი ნუ ექნება მისი.** ხაზგასმით და დაბეჯითებით ვამბობთ ამასა, რადგანაც, ჩვენდა სამწუხაროდ, საკმაოდ ვიცით ტფილისელ სამღვდელოების წარსული და დღევანდელი ძალთაგანწყობილება. მთელი ჩვენი იმედი ისევ პროვინციის და კერძოდ დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებისადმია მიქცეული. რაც დღემდის გაკეთდა, იქიდან მონაბერი იყო, და თუ რამე გაკეთდება, ისევ იქ და მხოლოდ იქა. ამ გარემოებასაც თავისი ცხადი მიზეზები აქვს, რომელიც არავის არც ადიდებს და არც ამცირებს. არავისი წყენა თუ სიამოვნება მიზნად არა გვაქვს და თუ ვინმე გულწრფელ სიტყვებს სხვანაირად ჩამოგვართმევს ჩვენი ბრალი არ იქნება.

მაგრამ სურვილიდან სურვილის განხორციელებამდინ დიდი მანძილია. ზემოდ დასახელებულ მიზნისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა განმარტოვებული, კაბინეტური, მეცნიერული მუშაობა, რომლისთვისაც, თუ ცოდვას გავამჟღავნებთ, საქართველოს არცერთ ნაწილის სამღვდელოებას არ შესწევს ძალა, მაშასადამე, ჩვენის ეკლესიის ბედიღბალი დღეს ჩვენი უმაღლეს სწავლამიღებულ თითო-ოროლა სამღვდელო პირის, ქართველ იურისტების და ქართველ ისტორიკოსების ხელთ არის. სანამ დრო არის და სინამდვილე არ თხოულობს აჩქარებულ ნახტომებსა (ასეთები გვქონდა კი!), იმათ ცალცალკე, დინჯად და საბუთიანად უნდა შეიმუშაონ როგორც გეგმა კრებაზე მოქმედებისა, აგრედვე თვით მასალა კრებისთვის, რომ ის რამოდენიმე თვე რომელი კრებისთვის მოსამზადებლად ოფიციალურად მოგვეცემა, მოხმარდეს ამა თუ იმ ნიადაგზე შეთანხმებას და არა სიჩქარისა გამო აძაგძაგებულ მუშაობას. ვისაც ამ მხრივ მუშაობა შეუძლია მისთვის უჩვენოდაც ცხადია, რომ ეკლესიის თავისუფლების საკითხი მარტო ხუცების და ბერების საქმე არ არის და, მაშასადამე, სამღვდელომ და ერისკაცმა, ვისაც კი სამშობლოსთვის გული შესტკივა, ერთნაირად უნდა მოჰკიდონ ხელი ამ დიად და საპატიო მუშაობას.

ახელი.

ჩხუბი არაფერზე

(„დნენ“ თუ „დენ?“)

დასასრული *)

კარგი, ვთქვათ დავუჯერე ბ-ნ სახოკიას და ვაღვიარე კანონად **დენ**-ის ხმარება. კანონის აღიარება და მისი ასრულება ერთი და იგივე არ გახლავთ, ბ-ნო, და რაც უნდა გულწრფელად მჯეროდეს, რომ უნდა ვხმარობდე: **მოვიდენ, წავიდენ, სწერდენ**, მაინც ენა თავისას გაიტანს და, უეჭველია, ვიტყვი და დავსწერ კიდეც: **მოვიდნენ, სწერდნენ**. რატომ? მიზეზი ადვილი გასაგებია: დიდი ხანია, რაც შენიშნულია, რომ ყოველ ინდივიდს აქვს თავის გამოთქმა, კილო, არ მოიპოვება ქვეყანაზე ორი ადამიანი, რომელიც ერთნაირად გამოსთქვამდეს არა თუ ერთ და იმავე სიტყვას, ერთ და იმავე ასოსაც კი, და რომ ეს განსხვავებანი შეუზღუდველი იყოს, შეიძლება იმ დროსაც მოვსწრებოდით, რომ ერთ ურთის ვეღარა გაგვეგორა. მაგრამ, საბედნიეროდ, არის ძალა, რომლის მეოხებითაც ეს განსხვავებანი იზღუდება, მინიმუმამდის მიდის. ეს ძალაა სხვა ინდივიდების ზედგავლენა. როდესაც ვამბობ **ა**-ს ისე, რომ ამ ხმას ვუახლოვებ **ე**-ს, შეიძლება ბოლოს **ე**-თაც გადავაქციო ეს **ა**-ნი (რის მაგალითებიც იცის ენის მეტყველებამ), მაგრამ მე ამავე დროს მესმის სხვისგან გამოთქმული **ა**-ნი, რომელიც, ვთქვათ, უახლოვდება **ო**-ს, მესამისაგან მესმის **ა**, დაახლოვებული **უ**-სთან, და ყველა ამათ გვესმის **ა**—უფრო ბევრად, თუ ნაკლებად დაახლოვებული ამ ასოს ნამდვილ მნიშვნელობასთან, და სწორედ ეს გარემოება, ეს მუდმივი რყევა ერთ და იმავე ხმისა, ნებას არ გვაძლევს ავსცდეთ ამ ხმას; როგორც საათის ისარი აქეთ-იქით ქანაობს და მით არსცდება განსაზღვრულ ადგილს, ისევე ხმები ამ გვარ რყევის გამო იცავენ თვის ფიზიონომიას. სწორედ ეს ენის ძირითადი კანონი მაიძულებს ვიხმარო ბ. სახოკიას კანონის წინააღმდეგ **დნენ** **დენ**-ის მაგიერ: როგორც თვით ბ. სახოკიამ იცის ქართლ-კახეთში „კანონიერად“ თუ „უკანაონოდ“ ეხლა ხმარობენ ნამყ. უსრ. მრავლ. რიც. მესამე პირ. დაბოლოებას **ნ**-ნის ჩამატებით **დ**-ისა და **ენ**-ის შუა. ვსთქვათ შოთას ესე არ უხმარია. ბ. სახოკია გვითითებს „ვეფხის ტყაოსანზე“, როგორც ისეთ ნაწარმოებზე, რომლის ენასაც უნდა მივსდევდეთ. მაგრამ ამავე დროს იგი თვითვე აღიარებს, რომ შოთას მიერ ნახმარები ფორმები **„ჰხვეტდიან“, „მოვიდეს“**, ჩვენ შევცვალეთ **ჰხვეტდენ, მოვიდენ,** და თუ ეს დანაშაულად არავინ ჩაგვითვალა, რაღად გვიკიჟინებენ, როცა ამ უკანასკნელ ფორმაში ჩვენ ერთი ასო ჩაუმატეთ,

ბ-ნი სახოკია ჩვენ ინტელიგენციას ახვევს მთლად ბრალს, მან წარყვნა ენა, მან მოიგონა ეს ჩამატებაო. ვეჭვობ, რომ ინტელიგენციას არ უდევს ბრალი ამ საქმეში. ჩვენი ინტელიგენცია არც ისე დიდი ხნისაა და არც იმდენი გავლენა ჰქონია სოფელზე, რომ მთელ ნახევარ საქართველოსათვის დაემახინჯებინოს ენა. მაშ, სად ვეძიოთ მიზეზი? თუნდაც იმავე „ვეფხის ტყაოსანში“. ბ. სახოკია თვით ბრძანებს, რომ ძველი ფორმა ნამყო სრ. მრავლ. რიც. მესამე პირ. **„მოვიდეს“** იმგვარად შეიცვალა, რომ უკანასკნელ ხმის **ს**-ას მაგიერ იწყეს ხმარება **ნ**-სა. მაშასადამე: „პირველ ამოდ ილაღობდეს, მერმე მედგრად **წაიკიდნეს**, თვითო ტოტი ერთმანეთს ჰკრეს სიკვდილსა არ **დაჰრიდნეს**, გამორიდნა ვეფხმან გული, დედათამცა **გამოჰრიდნეს**; ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს“, („ვეფხის ტყ.“), კარიჭაშვილის რედაქც. 880 ტაეპი). შევსცვალოთ უკანასკნელი **ს**-ნი **ნ**-ზედ და მივიღებთ **წაიკიდნენ, დაჰრიდნენ, გამოჰრიდნენ.** ესეც ნუ იყოს. ვსთქვათ ერთ დღეს ფანტაზიამ მოუარა მთელ ქართლ-კახეთს, აიღეს და სრულიად უკანონოდ ჩაურთეს ეს **ნ**-ი. ეხლა რაღას დავობთ, ბ-ნო? თუ ეს წინად უკანონობა იყო, დღეს იგი კანონია, რადგან ვერც ბ. სახოკია, ვერც მე და ვერც სხვა ინდივიდი, ჩვენის ნებით ვერ შევცვლით ენის ამ გვარ მდგომარეობას. კანონია იგი ჩვენთვის, ამერებისთვის, როგორც წინააღმდეგი მოსაზრება კანონია იმერთათვის. და აქ, ამ მართლაც მარტივ და მკაფიო აზრთან ვერას გავაწყობთ, უნდა შეურიგდეთ მას. ნუ ავყვებით უსაფუძვლო შიშს, ვითომც ამით ქართულ ენას, და მაშასადამე ქართველ ერს, ვნება მიეყენება. ამ გვარ შიშს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. არაფერს შეუძლიან იმდენი ვნება მოიტანოს, საზოგადოდ, რამდენიც თავისუფლების შეზღუდვამ, თუნდაც საუკეთესო მოსაზრებით გამოწვეულმა. ამიერ და იმიერ საქართველო მრავალ საუკუნეების განმავლობაში სხვა და სხვა ბედს განიცდიდა, სხვა და სხვა გავლენა მოქმედებდა მათზე. რასაკვირველია, ამ პირობების სხვადა სხვაობამ ენასაც დაასო თვისი დაღი. ბევრი მართლაც თვალსაჩინო განსხვავება დაჰბადა ამ გარემოებამ ერსა და იმავე ერის შვილთა შორის. განსხვავება როგორც ფონეტიკური, აგრედვე ეტიმოლოგიური და ლექსიურიც. მაგრამ ეს განსხვავებანი ერს არას აკლებდნენ და არ აკლებენ, პირ-იქით ენას ამდიდრებენ და აყვავებენ, და განა და ლაპარაკად ღირს ერთი ასო, რომელიც არც იმდენად მნიშვნელოვანია, როგორც ზოგიერთს ჰგონია (სამართლიანად შეჰნიშნავს ბ. თ. სახოკია, რომ ორ აზროვნობა სიტყვის არც ერთ ენას არ ასცდება, და ეს მაინც და მაინც არას უშლის აზრის გამოთქმასაო) და არც ისე მოუხეშავია, როგორც სხვები ჰფიქრობენ. ამიტომ სჯობს თავი დავანებოთ ამის თაობაზე კამათს და დრო და ხალისი სხვა უფრო მნიშვნელოვან საკითხებს მოვანდომოთ. სულ თავში შევნიშნე, რომ ამ ბოლოს დროს, ეტყობა, ჩვენში იმატა ინტერესმა სამშობლო ენის შესწავლისადმი, და, სანანური და საწყენია, რომ ეს ინტერესი, ეს ხალისი ასეთ წვრილმანებს მოჰხმარდეს, როდესაც წინ ისეთი სერიოზული საკითხები გვდის, როგორც ჩვენი ენის ისტორია, მის ძირითადი კანონების გამოკვლევა; ასე გასინჯეთ, ერს, რომელსაც 25—30 საუკუნის განმავლობაში წმინდად დაუცავს თავისი ეროვნული საუნჯე—სამშობლო ენა, ამ ენის თანამედროვე ყოფის რიგიანი გრამატიკაც კი არა აქვს. და ამ დროს ცოდნის, ხალისის და დროს ხარჯვა მცირე მნიშვნელოვან საკითხებისთვის, დიახაც რომ დიდი ცოდოა.

ს. ვაჩნაძე.

---

*) იხ. „სახ გაზ“ № 671.

პროვოკატორი მიხეილ ბაკაი.

როგორც ვიცით, გამოჩენილ ბურცევს ჰყავდა თანაშემწე მიხეილ ბაკაი; ეხლა ბურცევი მას ბრალსა სდებს, აზეფთან კავშირი გქონდაო. ბაკაი ერთ და იმავე დროს მსახურობდა, თურმე, დამცველ პოლიციაში და ეკატერინოსლავის სოციალისტ-რევოლიუციონერთა კომიტეტში. მან გასცა ვერა ნაროჩინსკისა, კნეინა მიშეცკისა, ედელშტეინი, პაშჩენკო და კიდევ ბევრი სხვა გამოჩენილი რევოლუციონერები. ბაკაი,—ოდესღაც ღარიბი ფერშალი,—ეხლა დიდძალ ფულს იღებდა. ეკატერინოსლავის სოციალისტ რევოლიუციონერთა პარტია გაოცებული იყო, თუ საიდან იგებდა ჟანდარმის პოლიცია მათ ამბებს და მოქმედების გეგმებს.

ეხლა კი, სრულიად შემთხვევით, შეიტყეს, რომ გამცემი ყოფილა მიხეილ ბაკაი.

სოციალისტ-რევოლიუციონერთა კომიტეტმა მას სიკვდილი გადაუწყვიტა, მაგრამ მან პეტერბურგში გაქცევა მოასწრო და იქ გამოჩენილ ზუბატოვის შემწეობით ვარშავის დამცველ პოლიციის განყოფილებაში ადგილი მიიღო. ეს მოხდა 1903 წ. ორი წლის შემდეგ დაიწყო რევოლუცია. ბაკაი მთავრობამ გაგზავნა ცნობილ რევოლუციონერ აიზელფელდის საძებნელად. სამხრეთის ერთ-ერთ ქალაქში რევოლუციონერებმა ბაკაი იცნეს და იმავ დღესვე დაატყვევეს.

ქალაქის განაპირა ერთს ოთახში მოხდა მისი გასამართლება. იგი ხელფეხ შებოჭილი გამოუტყდა ყველაფერში ოთხ თავის გამსამართლებელთ, რომელთა რიცხვ. იყო ცენტრალურ კომიტეტის ერთი წევრი „ვალენტინ კუზმიჩი“. გასამართლების შემდეგ, სიკვდილი გადაუწყვიტეს.

მაგრამ უცბად წამოდგა „ვალენტინ კუზმიჩი“ და ცენტრალურ კომიტეტის სახელით მოითხოვა მისი განთავისუფლება, რადგან იმან, როგორც ცენტრალურ კომიტეტის წევრმა, შეიძლება იცოდეს ის, რაც დანარჩენმა სამმა მოსამართლემ არ იცის.

ბაკაი მართლაც გაანთავისუფლეს. ეს „ვალენტინ კუზმიჩი“ კი თურმე აზეფი ყოფილა.

აზეფის გარდა დანარჩენი მსაჯულები შემდეგ დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს.

ამ ნაირ საქმისთვის მიხეილ ბაკაიმ იცით სამაგიერო როგორ გადაუხადა აზეფს? 1907 წელს ვარშავის დამცველ პოლიციის განყოფილებიდან ბაკაი დაითხოვეს. დაუახლოვდა ბურცევს და სოც-რევ-თა ცენტრალურ კომიტეტში შევიდა. რამდენიმე ხნის

შემდეგ დააპატიმრეს, პეტრე-პავლის ციხეში, აქედან კი, სასჯელის შემსუბუქების შემდეგ, გადაასახლეს ტომსკის გუბერნიაში, საიდანაც რევოლუციონერების დახმარებით გამოიქცა რათა სოც.რევოლუციონერნი უფრო მეტის ნდობით მოჰკიდებოდნენ ბაკაიმ აზეფი გასცა. გაცემის შემდეგ ბაკაი სცდილობდა სიკვდილისაგან გადაერჩინა აზეფი.

ცენტრალურ კომიტეტის აზრით, მთავრობას აზეფის გაცემით უნდოდა ზნეობრივად დაეცა მათი პარტია. ამ მსხვერპლით მთავრობას რევოლუციონერთა პარტიაში შეიყვანა ორი თვისი წარმომადგენელი ბაკაი და ლეონიდ მენშიკოვი, რომელთაც წვრილ პროვოკატორების გაცემით პარტიაში დემორალიზაცია შეჰქონდათ, და მთავრობაც ადრევე იგებდა წვრილ-წვრილ ტერორისტულ აქტების განზრახვას.

სხვა და სხვა ამბავი

უმაღლესი ბრძანება სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნაზე გამოცხადებული იქნება პირველ სექტემბერს როგორც იძახიან, ბრძანებაში მადლობა იქნება გადახდილი ნაყოფიერ მოქმედებისთვის.

სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა გადადებულია აგვისტოს დღესასწაულების გამო, რათა ხალხის წარმომადგენლებმაც მიიღონ ოფიციალური მონაწილეობა. („რულ“).

სენატორმა მანუხინმა მოითხოვა დამატებითი ცნობები ბოდაიბოდან მუშების გადასახლების თაობაზე.

პუანკარეს პეტერბურგში ყოფნის დროს უსაუბრია ოსმალეთის ელჩთან თურხან-ფაშასთან ზავის მალე ჩამოგდების შესაძლებლობაზე. ელჩი სწორ პასუხებს არ აძლევდა, მთავრობისაგან დავალებული არა მაქვსო.

იუშჩინსკის მოკვლის საქმე

კიევი. გამომძიებელი მაშკევიჩი გაემგზავრა იმ გამოქვაბულის დასათვალიერებლად, სადაც იუშჩინსკის გვამი იპოვეს. გამოქვაბულის ახლო ერთს ხეზე ამოჭრილი ნახეს: „ანდრიუშა დომოვოი“ და მკვლელობის ნიშნები. მაშკევიჩმა ამოსჭრა ეს ადგილი და გამოსაძიებლად წაიღო.

დაბეჯითებით ამბობენ, ბეილისს 15 აგვისტომდე გაანთავისუფლებენო. აგრეთვე მოელიან მაძებარ პოლიციის განყოფილების უფროსის კრასოვსკის განთავისუფლებას, რომელმაც იუშჩინსკის მკვლელები აღმოაჩინა.

ოსმალეთ-ჩერნოგორიის დამოკიდებულება

სტამბოლი. ბერანი ოსმალებმა დაიპყრეს და ჩერნოგორელებმა უკან დაიხიეს.

სალონიკი. ბერანიდან ოფიციალურად იტყობინებიან, მცხოვრებლებმა სიმაგრე იაზიკოვაცს შეაფარეს თავი. სამხედრო მინისტრმა იპეკის კომენდანტს ბრძანება გაუგზავნა, დიდის რაზმით გასწი ბერანისაკენ და ჩერნოგორელებს წინადადება მიეცი ოსმალეთის საზღვრებს 6 საათის განმავლობაში თავი დაანებონ, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხედრო მოქმედებას დავიწყებთო.

მაროკოს ამბები

მანაგუა. ქალაქს ახლოს აჯანყებულებმა რაზმს 430 კაცი მოსწყვიტეს.

მაგაზანი. ელხიბი ქალაქის რამდენიმე დამცველისა და პოლიციის ღალატის შემდეგ მარაკეში შევიდა და იგი სულთანად გამოაცხადეს.

ჩინეთი

ჩიფუ. პეკინში გავლისას ჩამოხტნენ ხუანსიანი და სუნიათზენი. წარმოსთქვეს სიტყვა და სხვა და სხვა პარტიებს მოუწოდებდნენ ერთად შეერთებას და რესპუბლიკის სასარგებლოდ მოქმედებას.

ოსმალეთ-იტალიის ომი

რომი. როგორც დამადასტურებელ ხმებიდანა სჩანს პორტას უნდა ომი მოსპოს, რადგან დარწმუნებულია ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის შენარჩუნების შეუძლებლობაში.

სპარსეთი

თავრიზი. სეპეხდარი ნემეტაბადში მოვიდა. ვაჭართა წარმომადგენლები, სამღვდელოება და ადგილობრივი მთავრობა შეხვდა.

შუჯოუდ-დოულეც ნემეტაბადისკენ გაემგზავრა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

9 აგვისტო.

საზღვარ-გარეთ

მიუნხენი. სამხედრო ბიუჯეტის გარჩევის დროს სოციალისტმა ფოლმასმა პალატაში განაცხადა, თუ სოციალ-დემოკრატებმა ვერ მოახერხეს დაიცვან მშვიდობიანობა, მაშინ იგინი სხვებზე არა ნაკლებ შესძლებენ სამშობლოს დაცვასაო. ლიბერალები ამ სიტყვებს როგორც პატრიოტულს და როგორც ყალბ შეხედულების დამამტკიცებელს, ვითომც ბავარია ძალაუნებურად იმპერიის საზღვრებში შედისო, აღტაცებით მიეგებნენ.

პარიზი. პუანკარემ მინისტრთა საბჭოში რუსეთში მოგზაურობისა და რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეთა ბაასის თაობაზე მოხსენება წაიკითხა.

რუსეთი

ტაშკენტი. საპიორების აჯანყების გამო თხუთმეტს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, 112—სხვა და სხვა ვადით კატორღა, 15 გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, 79—არესტანტთა რაზმი, 7-კი გაამართლეს.

ირკუტსკი. გუბერნატორის განკარგულებით განცხადება გამოაკრეს, სადაც მოხსენებულია ლენის ამხანაგობა მუშების მხოლოდ განსაზღვრულ რიცხვს, ისიც უცოლშვილოებისას, მიიღებსო.

ტვერი. სახელმწიფო საბჭოს წევრად ერობამ კამერგერი ვლადიმერ იოსების ძე გურკო აირჩია.

ყაზანი. ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად ხელმეორედ ტრუბნიკოვი აირჩია.

ნოვოკიევსკოე. ფულის ანგარიშების გამო ხუნჩუნში, იაპონიის საჩაიეში ჩხუბი მოუვიდათ, მოკლულია ორი ჩინელი. მკვლელობით აღელვებულმა ხალხმა საჩაიე აიკლო და იაპონიის საკონსულოს ემუქრებოდა. აქაურმა დაოტაიმ ძლივ-ძლივობით დააშოშმინა აჯანყებულები.

მოსკოვი. მაძებარმა პოლიციამ შეიპყრო ხუთი კაცისაგან შემდგარ მძარცველების ბრბო, რომელთაც მთელ გუბერნიაში 36 შეიარაღებული დაცემა მოაწყეს, მოკლეს 18 კაცი და დასჭრეს 4.

წერილი რედ. მიმართ

გაახლებთ რა ჩემს მცირე წვლილს, 3 მანეთს, გთხოვთ დაუყოვნებლივ გადასცეთ გუშინდელ №-ში მოთავსებულს ქვრივ დედაბერის ტასია—დავითაშვილის უმწეო ოჯახს.

თამამშევის ქარვასლაში მოვაჭრე **მიხეილ აბაშიძე.**

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ქიათურის დრ. საზოგ. გამგეობას და სცენის მოყვარეთა წრეს იმ სიამოვნებისათვის, რომელიც ვიგრძენ იქ მუშაობით ამ ერთი წლის განმავლობაში. მჭიდროდ შეკავშირებული სცენის მოყვარეთა წრე, გამგეობის წევრნი და მსახიობნი ერთმანეთში გათქვეფილნი, წარმოადგენენ ერთ ოჯახს საერთო საქმით გატაცებულს, ხოლო თითეული მათგანი თავდადებული მუშაკია სცენისათვის. იქ მუშაობა ერთგვარი სულით დასვენებაა და მეც სწორედ სულით დავისვენე; ქიათურის ცენა სხვა პროვინციებისათვის სამაგალითო სკოლად უნდა იქმნას აღიარებული. დიდი მადლობა აგრეთვე იქაურ საზოგადოებასაც, რომელიც ისეთსავე მხურვალე მონაწილეობას იღებს ხოლმე სათეატრო საქმეებში, როგორც მისი წარმომადგენელნი. ვისურვებ, რომ ეს მტკიცე საძირკველი, ქართულ სასცენო ხელოვნებაზე აშენებული არასოდეს არ შერყეულიყოს.

ვალ. შალიკაშვილი.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სათვისტომოს გამგეობა გულითად მადლობას უძღვნის იმ პირთ, რომელთაც დ. ბორჯომში გამართულ საღამო-მეჯლისში პეტ. ქართული სათვისტომოს სასარგებლოთ პირადის მონაწილეობით, შრომითა თუ ქონებრივი დახმარებით ხელი შეუწყვეს საღამოს მოწყობაში. განსაკუთრებით მადლობას სწირავს. ელ. იოს. გომართელისას, მ. ს. კლდიაშვილის ასულს, ლექტორს გრ. რობაქიძეს, მგოსანთ ს. აბაშელს, ლ. ახობაძეს, ი. გრიშაშვილს და გორგაძეს, მსახიობთ: პ. შოთაძეს, ი. ზარდალიშვილს და ე. სტურუას.

P. S. საღამოს დაწვრილებითი ანგარიში წარედგინება სათვისტომოს საზოგადო კრებას.

პეტ. ქართ სათ. გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

გამგეობის მდივნის მაგიერ, გამგეობის წევრი **ვლ. ცაგურია.**

თელავის საზოგადო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს ქ. ს. მაჭავარიანისას, რომელმაც შემოსწირა სამკითხველოს 5 მან., თ. თუმანიშვილს—2 მან., დ. როსტომაშვილს—2 მან. და ყველა იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სამკითხველოს სასარგებლოდ გამართულ სეირნობის მოწყობაში 28 მკათათვეს და იმათაც, ვინც საზოგადოებას შემოსწირა ნივთები და ფული. წმინდა შემოსავალი სეირნობიდან დარჩა 101 მან. 46 კაპ.

სამკითხველოს გამგე **ნინო მთვარელიშვილი.**

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ., ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ. 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზ.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედესერიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—ე ვ. ფომინა-თხილთვისა (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ერევნის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

განცხადებანი

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის
საბუღალტრო კურსები
ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—2)

დაბა სამტრედია
ახალი აგურხანა.
ვამზადებთ დიდ ზომის აგურებს 6X3X1½ ვერშოკ. ზომიანს.
მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ კარგი ღირებსა ზომიერ ფასებში. ყოველივე დაკვეთა სისწრაფით სრულდება.
პატივისცემით **პორფირე ქეიშვილი.**
(თ. 1338.22)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ბვეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1078.11)

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი
„SALO—პიჩილინი“
სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.
მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.
დეპო: Петербургъ. разъѣзжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად საფთიაქო საწყობებში. Метиль 23672.
(წ.1161.17)

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას.
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.18)

ბაღი ედემი ვერაზე
მომჩქეფარე, მოჩქრიალე ჩანჩქერებისა და ფოთოლთა შრიალის გამო „ედემის ბაღში მუდამ გრილა და ჰაერიც სუფთაა. უკრავს უნგრეთელ ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი ვაიერის ლოტბარობით ნაშუადღევის 3—7 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე. ბუფეტში ყველანაირი სასმელი იშოვება. საჭმელები აზიური და ევროპიული. შეიძლება სადილებისა და ვახშმების შეკვეთა. მუდამ იშოვება „ცოცხალი“ თევზი. სანოვაგის სისაღეში თავდებნი ვართ. ტელეფ. № 296.
სრული პატივისცემით კ. ბაქრაძე.
(გ5.1344.22)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება პროფ. ალ. ხახანაშვილის შემდეგი წიგნები:

ქართ. სიტყვიერების ისტორია	1—25 კ.
ბატონ-ყმობა საქართველოში	50 „
იმერეთის მეფე სოლომონ II	25 „
Матеріалы по груз. археологіи	80 „
Багратъ, Еписк. Тамраменійск.	1 მ.
Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи	60 კ.
Грузинск. дворянск. акты	60 „
Месхи (этногр. очеркъ)	60 „
Жизнь и дѣятельность Католикоса Грузіи Антонія I	50 „
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны	60 „
О [illegible] рукописяхъ и надписяхъ	60 „
Правила VI Вселенск. собора	1 მ.
Трапезундская хроника	1 „
Очерки по груз. культурѣ	30 კ.
О вступленіи на престолъ Императрицы Екатерин. II	25 „
Политич. и культ. состояніе Грузіи съ XIII по XVIII в.	50 „
Аѳонскій списокъ 978 г. грузинской библіи	40 „
Къ матеріал. по драмат. литературѣ XVIII в.	20 „
Бальваръ и Іодасафъ, грузин. текстъ по рук. XI—XII в.	60 „

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1411.97).

მაღაზია
ე. ა. ცატუროვის
დეპოში
მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი
რუსეთისა და საზღვარგარეთის
საუკეთესო ქარხნებისა.
ფასები 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.
ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.
(40—1400—8)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
ყურადღება!
(წ.1131.228)
მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.
მივიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მერვე.
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 6 მან.; ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბატაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გოგელაურთან, **განჯაში** გ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1393—95 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე [illegible] ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“